



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ KA2 პროგრამა
პროექტი „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების
განვითარების ხელშეწყობა“
(Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units -HERD)

GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ KA2 პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“ (Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units/HERD).

პროექტის მიზანი

აღნიშნული პროექტის ხანგრძლივობა მოიცავს 2 წელს. მისი ძირითადი მიზანია წევრი უნივერსიტეტების კვლევითი სამსახურების მოდერნიზაცია, კვლევითი პოტენციალისა და ხარისხის გაზრდა, სწავლებისა და კვლევის კომპონენტების ინტეგრირება ინსტიტუციურ დონეზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროექტით ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- საქართველოს 12 უნივერსიტეტისთვის ერთობლივი კვლევითი პლატფორმის შექმნა;
- საქართველოს კვლევითი ინტერნეტ პორტალის შექმნა;
- კვლევების მენეჯმენტისა და მონაცემთა ანალიზის დამუშავებისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესება ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- წევრ უნივერსიტეტებში კვლევის პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობა.

პროექტის კონსორციუმი

პროექტის კონსორციუმი შედგება 17 სრული და 3 ასოცირებული პარტნიორისგან, მათ შორისაა: საქართველოს 12 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 5 სამთავრობო სააგენტო და 3 ევროპული უნივერსიტეტი.

პროექტი, რომლის სამიზნე, საბოლოო ჯამში, 9500 მკვლევარია, საქართველოს 12, როგორც საჯარო, ისე კერძო, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ლიდერი (TSU), დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (DTMU), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (TSC), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (TSMU), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ILIAUNI), კავკასიის უნივერსიტეტი (CU), საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (GTU), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU). პროექტი მხოლოდ თბილისზე არაა ორიენტირებული და მოიცავს 3 რეგიონულ უნივერსიტეტს - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ATSU), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(BSU) და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TESAU). პროექტში ჩართულ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვს კვლევითი ერთეული, კვლევითი ინსტიტუტის ან კვლევითი დეპარტამენტის სახით და ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ კონსორციუმში წარმოდგენილი უნივერსიტეტების სახით იფარება ყველა სამეცნიერო მიმართულება და საქართველოს კვლევითი პოტენციალის 82 პროცენტი.

პროექტის პარტნიორებს შორის არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სამი ასცირებული წევრი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი.

პროექტის საერთაშორისო პარტნიორები

პროექტის საერთაშორისო პარტნიორები არიან დრეზდენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომელიც გერმანიის 10 წამყვან უნივერსიტეტს შორისაა და პროექტში ჩართული იქნება კვლევითი მიმართულებების დაგეგმვისა და მენეჯმენტის ტრენინგების უზრუნველყოფაში, კლერმონ ოვერნის უნივერსიტეტი ძლიერი კვლევითი ფოკუსით, რომელიც ორიენტირებულია გამოყენებითი კვლევებისა და კერძო-საჯარო პარტნიორობის მეშვეობით სოციალური ცვლილებების უზრუნველყოფაზე და ნიცას სოფიას ანტიოპოლის უნივერსიტეტი, მსოფლიოს წამყვანი კვლევითი უნივერსიტეტების 3 პროცენტში შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს კვლევის სტრატეგიების შემუშავებასა და ხარისხის მართვაში დაეხმარება.